



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
27 მარტი, 2017

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ახლადშენებული ქარის ელექტროსადგურის კერძო ინვესტორებზე გაყიდვა. ქარის ელექტროსადგურის მიმდინარე მფლობელია შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, რომლის მეწილეებიც არიან სახელმწიფო კომპანიები „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. კომპანიის წილები საჯარო აუქციონით გაიყიდება. აუქციონის პირობები ცნობილი გახდება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის დასკვნა კომპანიის შეფასების შესახებ. ქარის ელექტროსადგური ოპერირებს 2016 წლის ნოემბრის თვიდან და მის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია თვითნებური მოხმარების საშუალოდ 0.5%-ს აკმაყოფილებს.

საქართველო გახდება ენერგო გაერთიანების სრულყოფილი წევრი 2017 წლის გაზაფხულზე, პარლამენტის მიერ გაწვევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდგომ. ენერგო გაერთიანების წევრობა საქართველოს ავალდებულებს პროტოკოლით გაწერილი ვალდებულებების შესრულებას 2020 წლის დასაწყისამდე. ენერგო გაერთიანების სექტარიატმა მოამზადა ენერგეტიკული კანონის დრაფტი, რომელიც მიზნად ისახავს ელექტროენერგიისა და გაზის სექტორში არსებული ევროპული რეგულაციებისა და დირექტივების საქართველოში გადმოტანას. კანონის მიღება იგეგმება 2017 წლის განმავლობაში, ხოლო ძალაში შესვლა 2018 წლის ბოლომდე.

თბილისში, 2017 წლის 10 მარტს, EU4ENERGY-ს რეგიონული ოფისი გაიხსნა. EU4ENERGY არის 2016 წლის ივნისიდან მოქმედი, ევროკავშირის ოთხწლიანი დახმარების პროგრამა. EU4ENERGY-ს მესამე კომპონენტის ბიუჯეტი 6.8 მილიონი დოლარია და მიზნად ისახავს ბენეფიციარი ქვეყნების ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი და საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებას ევროკავშირის მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მოლდოვა, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში, აქცენტი კეთდება საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებაზე. გაწეული რეკომენდაციები გულისხმობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაშია ენერგო გაერთიანების წესდებასთან, ასოცირების შეთანხმებასთან და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან. სხვა ბენეფიციარი ქვეყნებისთვის (ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი), EU4ENERGY-ს ძირითადი დატვირთვა შეიძლება მიმართულა არსებულ საუკეთესო პრაქტიკებზე. თბილისში დაფუძნებული ოფისი კოორდინირებს გაუწევს პროექტის აქტივობებს საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში. მეორე რეგიონული ოფისი, რომელიც მოიცავს ბელარუსს, მოლდოვას და უკრაინას, განთავსდება კიევში. მიმდინარე მარეგულირებელი და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების პროექტი არის უფრო ფართო, ხუთ-კომპონენტური EU4ENERGY პროექტის ნაწილი, რომელიც აგრეთვე ფარავს ცენტრალური აზიის ქვეყნებს და აქვს 21 მილიონი ევროს მოცულობის ბიუჯეტი.

ელექტროენერგიის გამოიმუშავება, მოხმარება და ექსპორტი

თებერვალში შიდა მოხმარება წლიურად 13.0%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები აფხაზეთის რეგიონის და პირდაპირი მოხმარებლების გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება თებერვალში წლიურად 9.1%-ით არის გაზრდილი: თელავის მოხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა 8.3%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის 4.9%-ით, ხოლო ენერგო-პროს აბონენტთა მოხმარება 10.0%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება თებერვალში წლიურად 19.9%-ით არის გაზრდილი და ქვეყნის მოხმარების 23.1% შეადგინა. მნიშვნელოვანად არის გაზრდილი პირდაპირი მოხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა (+24.8% წ/წ), თუმცა აღსანიშნავია 2016 წლის თებერვლის საკმაოდ დაბალი ბაზა (-14.7% წ/წ). ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი უმსხვილესი პირდაპირი მოხმარებლის (ჯამური პირდაპირი მოხმარების 81.1%), ჯორჯიან მანგანეზის, მოხმარების ზრდაა (+33.1% წ/წ); აქაც აღსანიშნავია 2016 წლის თებერვლის დაბალი ბაზა (-16.2% წ/წ). ჯორჯიან მანგანეზის მოხმარების ზრდამ საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი (2.5 პროცენტული პუნქტი 13.0%-იანი ჯამური ზრდის) შეიტანა ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ჯამურ ზრდაზე 2017 წლის თებერვალში. ელექტროენერგიის ექსპორტი თებერვალში უმნიშვნელო იყო, ხოლო აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ტრანზიტმა 16.3 გვტ.სთ. შეადგინა.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

თებერვალში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	5.1 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
თებერვალში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.8 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
თებერვალში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.8 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
თებერვალში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	3.5 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
თებერვალში გარანტირებული სიმძლავრის საფასური	0.7 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 2თ17, კვტ.სთ	9.9%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 2თ17, კვტ.სთ	n/a
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 2თ17, კვტ.სთ	n/a

*საშუალო გაცვლითი კურსი თებერვალში GEL/US\$ = 2.6429; TRY/US\$ = 3.6724

**თებერვალში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (0.024 გვტ.სთ)

წინა პაპავა


საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი

ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897




გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება (გვტ.სთ.)




წყარო: ესკო

შიდა მოხმარების ზრდა ძირითადად დაკმაყოფილებულ იქნა იმპორტირებული ელექტროენერგიით. ადგილობრივი წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოება თითქმის არ შეცვლილა (-0.5%წ/წ), ხოლო იმპორტი გაორმაგდა (+106.2% წ/წ). ქვეყნის მოხმარების მხოლოდ ერთი მესამედი (34.2%) დაკმაყოფილდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ, დანარჩენის შევსება მოხდა თბოსადგურებითა (41.7%) და იმპორტით (23.6%), ხოლო ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავებამ მთლიან ელექტროენერგიის მიწოდებაში 0.5% შეადგინა. ელექტროენერგიის მიწოდების წყაროების პროცენტული წილების ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო ცუდი ჰიდროლოგიური პირობებით, რამაც გავლენა იქონია ყველა ჰესზე, და ენგურის ათდღიანი შეჩერებით. ენგურჰესის მუშაობა შეჩერდა, რათა ჰესის გვირაბის რეაბილიტაციის ტენდერში მონაწილეობის მსურველ საკონსულტაციო კომპანიებს საშუალება ჰქონოდათ შესულიყვნენ გვირაბში და შეეფასებინათ ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა. ჯამური ჰიდროგენერაცია შემცირდა 33.1%-ით, აქედან ენგურის და ვარდნილის წარმოება შემცირდა 39.5%-ით, დანარჩენი რეგულირებადი სადგურების 35.8%-ით, ხოლო დერეფულირებადი სადგურების 11.9%-ით. ჰიდროსადგურების გენერაციის კლება დაკომპენსირდა თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით (+62.2% წ/წ) და იმპორტით (+106.2% წ/წ). თითქმის ყველა თბოსადგური სრული სიმძლავრით მუშაობდა მთელი თვის განმავლობაში, ხოლო ჯი-ფაუერი და თბილისრესის ერთ-ერთი ბლოკი წარმოადგენდნენ სისტემისთვის ძირითადი რეზერვის წყაროებს. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა წლიურად 23.1%-ით და შეადგინა 0.66 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე. 2017 წლის თებერვალში გარანტირებული სიმძლავრე ქსელს შესაბამისი სტატუსის მქონე ხუთივე წყარომ მიაწოდა თითქმის სრული თვის განმავლობაში.


ელექტროენერგიის იმპორტის თითქმის ნახევარი განხორციელდა აზერბაიჯანიდან (47.3%), ხოლო დანარჩენი რუსეთი (42.6%) და სომხეთიდან (10.2%). იმპორტის წყაროების დივერსიფიკაცია საჭირო გახდა ენგურის გაჩერების დროს მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ენგურისა და ვარდნილის ჯამურმა გენერაციამ აფხაზეთის რეგიონის მოხმარების 44.5% დააკმაყოფილა, დანარჩენის დაკმაყოფილება კი სხვა წყაროებით განხორციელდა, მათ შორის რუსეთიდან „სალხინოს“ ელექტროგადამცემი ხაზით იმპორტირებული ელექტროენერგიით.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო




ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

თებერვალში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 7.0%-ით შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა, რაც 5.7%-ით მეტია თურქეთის საბაზრო ფასზე. საბაზრო ფასი თურქეთში გაიზარდა 30.8%-ით 2016 წლის თებერვლის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-37.3% წ/წ) და კვტ.სთ.-ზე 4.8 აშშ ცენტი შეადგინა. 2017 წლის თებერვალში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის 31.8% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა.

იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი საქართველოში წლიურად 22.6%-ით შემცირდა 2016 წლის თებერვლის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-31.7% წ/წ). ასეთი მნიშვნელოვანი კლების ძირითადი მიზეზი რუსეთიდან, „სალხინოს“ ელექტროგადამცემი ხაზით იმპორტირებული ელექტროენერგიის სუბსიდირებული ფასი იყო. აღნიშნული იმპორტი ძირითადად განკუთვნილი იყო აფხაზეთის რეგიონის მუდმივად ზრდადი მოხმარების დასაკმაყოფილებლად.


გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



■ საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში
■ ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში

წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



■ საშუალო ფასი ექსპორტირებულ ელექტროენერგიაზე
■ საშუალო ფასი იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე

წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: ექსპორტი იყო უმნიშვნელო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინარე უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარი რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ან კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოშვებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალემ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge